89
1922/2

ჯეჯილი

ს. საქართველოს
მწერალთა კავშირის
ყოველთვიური
სახელოვნო-სალიტე-
რატურო ჟურნალი

№ 3

1922 წ.

ტფილისი

ეროვნული ბიბლიოთეკა



ი. გრიშაშვილი — ჩემს მამას
ვოტე მაყაშვილი — პათოსში
დუტუ მეგრელი — შენ გიყვარს დედა
ია ეკალაძე — სასამართლოში
შალვა დადიანი — ვასო აბაშიძე
ვ. აბაშიძე — ახალი საქართველო და ერთვნ. შემოქმედება

ვასო აბაშიძის პორტრეტი
სელოვნების მატიანე

ტფილისი

19 15/I 22

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვასო აბაშიძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ი. ბრიშაშვილი

ჩემს მამას

იწოდებოდი: „ცაცია გრიშად“.
გიყვარდა მხოლოდ ქალი და კრივი.
და თუმც ცოლები გყავდა დავრიშად,
მაგრამ ყოველთვის იყავი ქვრივი.
როცა სერავდი მწვადებს ანაგებს:
შენ ღვინის სმის დროს არ იყავ ლოთი;
კრივში ჰხიბლავდა შენს ამხანაგებს:
მკლავი ცაცია, თავი მელოტი.
შენი მიზანი, შენი საგანი
იყო სიმართლის შექმნა ნამდვილად,
და იყავ ერთი იმათთაგანი,
ვინც სიამაყეს ჰგზავნის მარტვილად.
და მეც შენსავით ხალხს ტლანქს და ზარმაცს
ჩემი თათმანი მივე გირაოდ,
არხიმედივით ვეძებ აზარმაცს,
რომ დედამიწა ავაყირაო!
ასეთ ბრძოლაში ჩემ სულს რა მოღლის,
მან დრო და სივრცე ბრძოლით განჭვრიტა,
და თუ შვილი ვარ მე ყარაჩოღლის:
ჩემს კალამს მუდამ ექნება დვრიტა.
როცა შენს გრძნობას ლექსებს ვატანდი,
მამავ, მტერს ჰკლავდა სიტყვა წყობილი,
და ვხარობ, რომ ვარ მე პროტესტანტი,
ვიდრე აღსავსე და კმაყოფილი.
და თუ სიცოცხლემ მეც გამაბრაზა,
და თუ გამივა ალერსის ყავლი:
წერტილის ნაცვლად დამრჩება ფრაზა
და ჩემს მგოსნობას სხვას შევასწავლი.

კ. მაყაშვილი

პათოსები

დაიწვა სანთლები... დარბაზი დაბნელდა.
ნადიმი დასრულდა... ხურავენ კარს!
დამძიმდა ჰაერი, სურნელი განელდა,
წყვდიადი ბროლის კოშკს ეხვევა გარს!..
ფიქრები მისდევენ იმედსა მწუხარედ,
ვით მგლოვიარენი ძვირფასსა მკვდარს.
ოცნება-კოცონი, მგზნებარე მქუხარედ,
მიყუჩდა... მიუჯდა კვამლიან კვარს!..
გვირგვინი ეხურათ... ოქსინო ეფარათ...
მსწრაფლ მიუახლოვდნენ მიღწევის თხემს,

369

ქაქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბორძიკი!.. დაქანდნენ, შემოკრბენ ერთ ფარად,
ეძებენ უფსკრულში ჩაჩეხილ მწყემსს!..
და ეხლა მისდევენ... მისდევენ მწუხარედ,
ვით შგლოვიარენი ძვირფასსა მკვდარს.
დაფერფლდა კოცონი, მგზნებარი მქუხარედ,
ოცნება მიუჯდა კვამლიან კვარს!..
მივიღეთ ბარათი საძილოდ წვევისა;
ნუ ვებლაუჭებით შიშისგან ხავსს.
დრო არის განქრობის... არაფრად ქცევისა
და ნულარ ვატყუებთ უგნურად თავს!
არც ვიძენთ, არც ვკარგავთ... მქუხარეს უაზროდ
ცხოვრებას ვუზურგოთ, მოსაწყენს, ნავსს!
ჩავიდეთ კიდეზე, მოვმართოთ უსაზღვრო
ნირვანის მკერდზედა მთვლემარე ნავს!..
ფანჯრიდან ჭიკჭიკი ხმა ტკბილი მომესმა
გულის წყლულს მალამოდ მომეცხო, მომესვა.
„შენა ხარ, ჩიტუნი, დაიკო ფრთოსანო,
ცად მახეტიალე გაისის მგოსანო?!—
„ჰო, მე ვარ! ღამისა მყვირალა დარდები
დაამხე მიწაზე, წამოხტი ზე!
გააღე ფანჯარა, ახადე ფარდები
ოთახში და გულში შეუშვი მზე!..
წამოვხტი, გავქანდი!.. მოვგლიჯე ფარდები.
გავუღე ფანჯარა სტუმარსა ტკბილს
შემეჭრნენ გულში მე სხივთ იავარდები,
ვგრძნობთ იმათ ამბორსა სუნნელსა, თბილს.
ვივსები სინათლით, ტიტანის ძალითა,
მთელდება გული და მწარედ არ სწუხს.
მიმქრალი თვალები მენთება ალითა,
ძარღვებში ხმაურობს სისხლი და სდუღს!
ნარნარი ლაჟვარდის ფირუზი-ჭევლები
მეხვივნენ, მიბანენ გაღეღილ მკერდს.
ცამ გამომიგზავნა ზავისა მძევლები
შევრიგდეთ!.. დიდება დილისა ღმერთს!
გამარჯობა ჩიტუნიავ! გმადლობ, ჩემო კარგო!
რომ იცოდე შენმა ნახვამ ჩემ სულს როგორ არგო!
ღამის სევდამ გულს ჩამასო თვისი კლანჭი მჭრელი
მომისია ეჭვის გველი, ტვინის მწოველ-მხვრელი
მე ოცნებას მიღრჩობს ღამე!.. ჰაერი არ მყოფნის!..
მიმწარდება, მიშხამდება სიტკბოება ყოფნის.
ეხლა კი მწამს, რომ ხარ ცისა სანატრელი გზირი
ალმადგინე... სიცოცხლისკენ კვლავ იბრუნე პირი!..
მოალერსე თვალებითა შემომხედა სირმა.
შეფრთხიალდა. მზის სხივები ტურფად მოისირმა,
მოწკრიალე, ვერცხლის ხმითა მან მოსძაფა არე:
გამიშალა თვალწინ ბგერა და ფერადთა მხარე!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გამიტაცა... აღმიტაცა!.. და მივფრინავ მეცა.
მაღლა, მაღლა, მაღლა... ქვევით დამრჩა ზეცა
მივსრიალებ სულის სხივად, აღარა ვგრძობ სხეულს
თავს ვევლები მსოფლიოსა, ჩემ სამეფოდ ქცეულს!
არ მზღუდავენ იქ სიტყვები, იქ სდუმს ქვეყნის ენა
იქ ნეტარობს გულის თვალი, ტკბება გულის სმენა!
ვერ მომწვდება ულმობელის დროის ცივი ხელი,
ვერც სიკვდილის საშინელი, სისხლიანი ცელი.
უცნობია ჩემთვის რული, უცნობია დაღლა;
სულის სხივად მივსრიალებ მაღლა, მაღლა, მაღლა!..
გაზაფხული თავის სამოსს ხეებსა და ყვავილთ აცმევს.
დამათრობელ სურნელებას მადლიანის ხელით აკმევს
ცის გუმბათი იღიმება ცეცხლეულის ფერადითა,
მზის სიმღერა მწველი ისმის ლაჟვარდოვან ვერანდიდან.
ჰქუხს საყვირი სიცოცხლისა ბრძანებიან-ვნებიანი!
სიცილის და რისხვის ხმანი, სიმთ ლივლივი საამური,
ზართა რეკა, ეტლთ გრიალი, ნაზი კვნესა სალამურის
რკინის შლინგვა, ქვის რახუნი, სისინ-შფოთი მანქანათა,
ვეშაპური ამოქშინვა და ქოთქოთი ქარხანათა,
ხმათა ზღვაში შემდინარდნენ ქაოტიურ-უსრულები,
მოეფინენ მზის ქვეშეთსა, ამოავსეს უფსკრულები!..
აბობოქრდა ხალხის ტალღა, სიტყვიანობს და მოქმედობს
არსებობის დასაცავად იძვრის, იღწვის, შემოქმედობს.
მომავლის და აწმყოს ზღვარზე მდგარ დაბურულს ტყესა ჰკაფავს
და სიკვდილი იმის ძლიერ კვერის ქვეშა სულსა ღაფავს!..

მოსაწვევ ძახილსა
გზნებარეს, მახვილსა
მოვკრავ რა ყურს—
ვივსები ძალითა,
უძლევის ალითა;
ბრძოლა, ჰეჲ, მსურს!
ოცნების ქადილო,
მზერათა ბანდილო,
ჩემგანა შორს!
არწივი ფრთებითა,
მბურთავი მთებითა,
არ დავემსგავსები
ბარისა მძოვრს!
მომყევით! მენება
ნგრევა და შენება,
ფიქრი და ქმნა!
გაბნევა ქაოსის,
შესაძლისთ ახოსი!
ბარვა და ხვნა!
ნადიმსა გავმართავთ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მწვერვალზე!.. ავმართავთ
მთაზედა მთას.
ფოლადის ნებითა,
მწველ შურის გებითა
შევანგრევთ ცას!
ჩვენია წუთები
დავსჭიმოთ კუნთები,
ვერა ვინ გვძლევს!
ტიტანოსთ გუნდები
მოდიან ხუნდებით.
გვიფრთხილდი, ზევს!...

1920 x

დუტუ მეგრელი

შენ გიყვარს დედა?..

შენ გიყვარს დედა, გიყვარს ძალიან,
გალოცხლებს მისი ალერსი ტკბილი,
მთელი დღე უმზერ და გიხარიან,
სიამით გავსებს მისი ღიმილი,
და ღამე კიდევ, მის გულს ჩაკრული,
იძინებ მშვიდად, იძინებ წყნარად?..
ჰო, გიყვარს და გსურს ეს სიყვარული
აროდეს ჩაქრეს, ბრწყინავდეს მარად!..
მაშ, შეევედრე განგების ძალებს,
რომ იყო მუდამ ეგრევე ბავში
და გეგულვოდეს იმისი კალთა
მფარველად ყოველს გაჭირვებაში!
არა, არ მოგწონს ბავშად დარჩენა,
ცდილობ საკუთარ ფეხზე დადგომას,
გსურს ცხოვრებაში კვალის დაჩენა,
ნატრობ დიდებას, გმირად გახდომას?
მაშ, სიყვარულსა თქვენსას თუ გინდა,
არ მოეფინოს მცირედიც ჩრდილი
და იყოს, როგორც ახლა, სულ წმინდა,
ღმერთს სთხოვე მისი ადრე სიკვდილი!
თორემ, როდესაც შენ გაიზრდები
და ის საჭირო აღარ იქნება,
ეს ზრუნვა, დღეს რომ ისე მით სტკბები,
მძიმე ბორკილად გარდაიქმნება!
და მაშინ ვაი თუ სიყვარული
დაახშოს ზიზღმა და მძულვარებამ
და ეს სიამე და სიხარული
შესცვალოს ტანჯვამ და მწუხარებამ!..

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ია ეკალაძე

სასამართლოში...

(მოთხრობა)

„უკანასკნელი სიტყვა თქვენია, ბრალდებულო! — ცალყბად მიჰმართა თავმჯდომარემ ტუსაღს, ალმაცერად შემოავლო თვალი საბრალმდებლო სკამს, ჯერ მარვჯნით მჯდომარე ახალგაზრდა თანამსაჯულს ჩაუჩურჩულა რაღაც, მერე მარცხნით მყოფს, — უფრო ხნიერს, — ხმა დაბლა გამოელარაპაკა, ბოლოს იდაყვებზე ნიკაპი დააყრდნო და სმენად გადაიქცა.

ტუსაღი, ანდრია ნაზღაიძე, წამოდგა, რუხი მაზარა მოიჯუჯკა, გულხელი დაიკრიბა და დაიწყო...

სასამართლოს დარბაზი შეირხა, ყველამ კისერი წაიგძელა, მოლაპარაკეს დააცქერდა.

ტუსაღი იგი შუახნის კაცი იყო, მაღალ-მაღალი, გამხდარი, ბეჭებში ცოტა მოხრილი. ხშირი, ჭაღარა თმის კულულები ფართე შუბლზე გადმოსჯაროდენ და მის დათენთილს და გაფითრებულ სახეს უფრო აფერმკრთალებდენ. კარგახნის გაუკრეჭავი, აბურძგვნილი წვერულვაში ყომრალი ბაღდადივით შემოხვეოდა ბაგე-ყბებზე, თუმცა სავსებით ვერ დაეჩრდილა ტუსაღის ჭკვიანური და საზრიანი გამომეტყველება. მშვენიერი, დიდრონი, სევდით სავსე შავი თვალები ჰქონდა ნაზღაიძეს, მაგრამ ისე მოკრძალებით მიმსხდარიყვნენ შუბლის ძირას, თითქოს უკან გაბრულებულან და ჭირნახული ადამიანის გულის სიღრმეს ჩაშტერებიანო.

ცოტა დანჭღრეული და ხან მკვეთრი ხმა მისი გლოვის ზუზუნად გაისმოდა სიჩუმით მოცულ დარბაზში.

თავმჯდომარე — მეტად მკაცრი სახის ადამიანი, — გატაცებული მისჩერებოდა მოპირდაპირე კედლის ერთ-ერთ წერტილს.

თანამსაჯულებს მოემარჯვებინათ საწერ-კალამი და საქმიანის სახით ქაღალდზე ხელებს აცოდვილებდენ.

ერთს თანამსაჯულს — ახალგაზრდას, — უკვე გამოეყვანა ლამაზი ქალის სახე და დაჟინებით უსწორებდა წარბ-წამწამს.

მოხუცი მსაჯული კი ჯღაბნიდა ჯორსა თუ ცხენს. ცხოვრებაში მეურნეობა, ცხენები და ძროხები იყო მისი ტრფიალი!

„აქ რამდენჯერმე მკითხეს — აუმაღლა ხმას ბრალდებულმა — რად მოჰკალი ვექილი ჩანჩალაძეო? გადაჭრით ვაცხადებ მოსამართლეთა წინაშე, რომ იგი **მე არ მომიკლავს** და არც ოდესმე განმიზრახავს ისეთების მოკვლა, ვინაიდგან კაცის მოკვლაში კაცისავე სისხლს თხოულობენ ხოლმე და განა ჩანჩალაძე ადამიანი იყო? არა! ბუნებას შეცდომით მიეცა მისთვის სახება კაცისა: ის იყო განხორციელებული ლირფობა, მშიშარაობა და თავისხვეჭიაობა; ის იყო გასულდგმულებული გულ-ქვაობა, თვალთმაქცობა და ფარისევლობა; ის იყო გამონაჟური იმ სიგლახისა, იმ სულმოკლეობისა და იმ თავდავიწყებისა, უცხო სკოლამა და აღზრდამ რომ შესძღვნა ჩვენ ნასწავლ თაობის დიდ უმრავლესობას, ეგრედ წოდებულ, ინტელიგენციას, ამ მრავალ თავიანსა და უყალიბო ანარეკლს ხალხისას... ოხ, რომ იცოდეთ, როგორ მეჯავრება გადაგვარებული ადამიანი, რა ტომისაც უნდა იყოს იგი!

„გთხოვთ საგანზე ილაპარაკოთ! — მოულოდნელად გააწყვეტინა სიტყვა თავმჯდომარემ და წარბები შეიკრა.

ბრალდებული შეყოყმანდა და შემდეგ განაგრძო:

„ეს რამდენიმე თვეა ციხეში ვგდივარ და ხმა არ ამომიღია... ნება მიბოძეთ მოვიქარვო გულის ნადები. გარდა ამისა, კაცი, აგერ, დავბერდი და არასოდეს საშუალება არა მქონია... ყურისმგდებელი არა მყოლია, რომ ბოლომდის მეთქვა, ბოლომდის მოესმინათ ჩემი სიტყვა! ვიტყოდი რამეს თუ არა, ჭილყვავებივით დამეხვეოდენ ხოლმე ძალადმაცხონე ხელმძღვანელები იმ სხვის აზრებით, სხვის ნებისყოფით დარეტიანებულ ქვეყნისა, რომელსაც ჩვენი სამშობლო ჰქვიან...

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ეგ საქმეს არ შეეხება... თქვენ ილაპარაკეთ მხოლოდ იმაზე, თუ რად მოჰკალით ვექილი, რამ გაიძულათ და სხვა—კვლავ შეუტია თავმჯდომარემ.

„მე არ მომიკლავს-მეთქი ვექილი ჩანჩალაძე,-აკი მოგახსენეთ! ის მოჰკლა თავისმა [illegible] თავისმა უგნურებამ

„როგორ მოხდა ეგ საკვირველი ამბავი... აი რა უნდა გვაუწყოთ!—დასცინა თავმჯდომარემ და სკამის ზურგს გადაეყუდა, უკმაყოფილო, პირმქუში.

„გრძელი ისტორიაა და თუ მათქმევინებთ... სთქვა ტუსაღმა.

„მოკლედ კი ბრძანეთ... უკვე ოთხი საათია!—დაიბუზღუნა თავმჯდოიარემ. აქ ძვირფასი ოქროს საათი ამოიღო, ხელში შეათამაშა, დახედა და ისევ უბეში ჩაიდო...

„ნეტა შეიძლებოდეს წლობით ნატანჯის საათობით ამოწურვა!—გაიფიქრა ტუსაღმა. ხმა მაღლა კი განაგრძო:

„ვის გინახავთ გაშიშვლებული სილარიბე? ვის გინახავთ დანგრეული ქოხი, შიგნითაც რო ისე სწვიმს ხოლმე, როგორც გარეთ. ვის გინიხავთ ულუკმა-პუროდ დარჩენილი ქვრივ-ობლები, უპატრონონი, უადამიანონი, უნუგეშონი? აი ასეთი გაუბედურებული ოჯახის შვილი ვარ. მამის სიკვდილის შემდევ დედა-ჩვენს დავრჩით ერთი ერთმანეთზე მომდევნო ექვსი ბავშვი. ვერაფერს გეტყვით: როგორ გამოვდიოდით, როგორ ვიბრუნებდით სულს. მეზობლების ანაბარად ვიყავით. ერთი კია, რომ დედა ჩემმა წერა-კითხვა იცოდა და ოსტატობა დაიწყო: ხუთი ექვსი სოფლელი გოგო ყოველთვის ჰყავდა ხოლმე აბარებული ანბანის სასწავლებლად. წერას ხარის ბეჭზე ასწავლიდა კალმად გამოჭრილ ბატის კანჭით. წყალში გაქნილ ქვაბის მურის მკრთალი მელნით ამ ბეჭზე უჯღაბნიდა პატარ-პატარა ლოცვებს და მერე რის ვაი-ვაგლახით არკვევინებდა ამოსაღებს. დიდი მოთმენა, წვალება და ჩიჩინი უნდოდა ასეთს სწავლებას. გოგოები ხშირად გარბოდენ ხოლმე სახლში და ოსტატს ხვეწნა-მუდარითა და ათასგვარი დაპირებით უხდებოდა მათი ისევ შეკრება. ჩვენი ქოხი ხან მდუმარებით იყო ხოლმე მოცული, ხან კი ჯიჯინითა და ღრიანცელით ივსებოდა.

და-ძმებში ყველაზე უფროსი მე ვიყავ. მე ვიყავ მათი მომვლელიც. როცა დედა ჩვენი გოგოებს უჩიჩინებდა, ჭუკიებსავით დავილალავდი ხოლმე ჩემს და-ძმათ და მიმყავდა მინდორ-ველად, რომ შეგირდ-გოგოებისათვის ხელი არ შეეშალათ.

ჩვენი ქოხის ცოტა მოშორებით, მზის გულზე, ხეხილით შემოფარგლული ერთი მყუდრო კორდი იყო. აი ამ კორდზე მივდიოდით ხოლმე და თითქმის საღამომდე იქა ვრჩებოდით. კორდის თხემიდან კალმით აუწერილი დიდებული სურათი იშლებოდა: შორს გამდგარი, თოვლით დაფენილი ბრუტ-საბრძელა *) ისე ახლოს მოსჩანდა, გეგონებოდათ ხელს მივაწვდენო. მის ჩამოდალმა მდევებივით გაწოლილიყვნენ ტყით დაფენილი კეცა-კეცა მთები, ადგილ მწვანეთ მოლალანე, ადგილ ჩაშავებულ-ჩაბნელებულნი და ანდამატივით იზიდავდენ კაცის გულსა და გონებას. შორიდან მოისმოდა გიჟი ლიახვის ხვივილი და ეს საიდუმლო ხმა ჟრუანტელად მივლიდა ტანში.

თვით კორდზე, გაზაფხულობით, წელამდე ბალახი ბიბინებდა ხოლმე, ათასგვარ ყვავილებით აჭრელებული. უთვალავი ფერადი პეპელა და ბუზ-მწერები დაჰფრენდა იქ. კორდის ძირას მორაკრაკე ნაკადულიც სირმასავით მიელვარებდა და დაუსრულებლად ჰბანდა პირს თავებ მოკანტურე ზიზილებს.

მთელი დღე ვიჯექ ხოლმე რომელიმე ბუჩქის ძირას და გავყურებდი მოკრიალებულ ცის დასავალს, ხე-ტყით დაფენილ მთა-გორაკებს, ყურს ვუგდებდი ლიახვის ხვივილს, ბალახების შრიალს, მწერ-პეპელათა ფარფატს, ფუტკრების ბზუილს, ყვავილების ფშვინვას და...

„გთხოვთ თავი დაანებოთ უადგილო რომანტიულობას!—ვეღარ მოითმინა თავმჯდომარემ და უკმეხად სიტყვა გააწყვეტინა.

ნაზლაიძემ თმაზე ხელი გადაისვა, მწარედ ამოიოხრა, თითქოს მოგონებათა ლანდებმა შეაწუხესო და უპასუხა:

---

*) ერთ ერთი მწვერვალი კავკასიონის ქედისა, იგივე-იალბუზი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„მე კი მგონია, ბატონო მოსამართლენო, რომ სწორედ აქ არის ჩამარხული... აქედან იწყება ჩემი ზიზღი ყოველივე მახინჯობისა და უმგვანობისადმი...— ტუსაღი კვლავ შეჩერდა და მერე ნირშეუშლელად განაგრძო — გული გამოურკვეველი სიხარულით მევსებოდა. თვალებზე ნეტარების ცრემლები მადგებოდა. მკერდი მიფართოვებოდა, ფიქრები მეზრდებოდა. ფრთები... ჰაერობა... მენატრებოდა, რო- მოვვლებოდი მთა-ველებს, ავსულიყავ ცაში, მოვხვევოდი მნათობებს, მთის მწვერვალებს, თითოეულ ხეს, თითოეულ ბუჩქს, თითოეულ ღეროს ბალახისას. მინდოდა გავქნილიყავ ნისლივით, დავმდნარიყავ წმინდა-სანთელივით ბუნების წიაღში!.. ვინ იცის რამდენჯერ წამოვარდნილვარ ოცნებით გატაცებული და გიჟივით გადამიკოცნია ბექობზე შეფენილი გვირილები, ყაყაჩოები, ზიზილები, ბალახები...

ნაზლაიძე გაჩუმდა ცატასხანს, სულის მოსაბრუნებლად, თავმჯდომარემ გაკვირებით მხრები აიჩეჩა. ახალგაზრდა მსაჯულმაც გაფანტვით მიმოავლო თვალი დარბაზს და მერე ისევ თავის მხატვრობას დაუბრუნდა. მოხუც მსაჯულს კი... არხეინად სთვლემდა.

„სამაგიეროდ უბედური ვიყავ ხოლმე შინ ყოფნისას — განაგრძო ტუსაღმა — ზანტი, უენო, მოდუნებული, დაფანტული. მე ყურში ჩამესმოდა ბუნების ხმები, თვალწინ მეშლებოდა მისი სურათები. მე მინდოდა ვყოფილიყავ თავისუფალი, ვით შვილს ნუკრი და მელაცნებე, ვით ანგელოზი და დედა ჩემი კი დამძახოდა:

„ბიჭო ჩინჩხვრები მოიტანე... ბატები მოდენე... გოჭი გარეთ არ დარჩეს... რას გამოლენჩებულხარ, რას გაბუცებულხარ შე უბედუროო...

დიახ, უბედური ვიყავ დედაჩემის თვალში მაშინ და უბედურადვე დავრჩი დღევანდლამდე, — — ვინაიდგან ბედნიერად სთვლიან მხოლოდ მაძღრებს, მორთულ მოკაზმულებს, თვალთმაქცებს, მატყუარებს; ვინც არხეინად სთლის და სჭამს ყრუ ქვეყანასა და ყრუ ხალხს...

„იძულებული ვარ სიტყვა წიგართვათ, თუ საგანს არ დაუბრუნდებით — გაგულისდა თავმჯდომარე. მოხუცმა მსაჯულმა თვალები აჭყიტა და რეტიანივით აქეთ იქათ ყურება დაიწყო. ამის დამნახველმა დარბაზში ვიღაცამ დაიფრუტუნა, სიცილი ველარ შეიკავა.

„ბოდიშს ვითხოვ, ბატონო თავმჯდომარევ, მაგრამ თუ მოსამართლები ბრძანდებით, თუ გნებავთ შეაფასოთ ჩემი საქციელი, მე მგონია განაგრძო ნაზლაიძემ — მაგრამ თავმჯდომარემ აღარ დააცალა:

„მე საქმე არა მაქვს იმასთან, თუ თქვენ რა გგონიათ... გთხოვთ საგანს დაუბრუნდეთ — მეთქი! დაიღრიჯა უბედურად თავმჯდომარე.

„დიახ, მე მგონია — გაბედვით ჩაურთო ტუსაღმა — თქვენ მოვალენი ხართ ყური დამიგდოთ იმ დრომდე, ვიდრე არ გამოარკვევთ დასაბამს ბრალდებულის ხასიათისას, მაგრამ სჩანს აქაც, — სასამართლოშიაც, — ენის მოკვნეტა ყოფილა საჭირო. ამიტომ მოკლედ მოვსჭრი...

თავმჯდომარემ იწყინა ტუსაღის კადნიერება და მთელი დარიგება წაიკითხა, თუ როგორ ძვირფასია დრო და როგორ უნდა ეჭიროს კაცს თავი, თუნდაც იგი ბრალდებულიც... დამნაშავეც, იყოს. დარბაზმა სული განაბა... თავჯდომარემ იგრძნო თავისი გავლენა და სულგრძელობის გამოსაჩენად, როდის — როდის წარბშეკვრით უბრძანა ტუსაღს: — განაგრძეთ.

ნაზლაიძემ განაგრძო:

„ბუნების შვილი, სოფლელი ბავშვი ჩამიყვანეს სამაზრო ქალაქად და იქ ერთ დახავსებულ სასწავლებელში მიმაბარეს. როგორ მოახერხა ეს საბრალო დედაჩემმა, მე არ ვიცი. ვიცი მხოლოდ რომ არ არის ცოტად თუ ბევრად შესმენილი ადამიანი ჩვენში, რომ არ უნდოდეს „შვილი ნასწავლი, განათლებული, წარჩინებული“, რაც იმ დროს, არსებითად, უდრიდა ბავშვის გადაგვარების გზაზე დაყენებას, ვინაიდგან უცხო სკოლა და უცხოთა პოლიტიკა მოზარდს ბუნებრივად ვერ აღზრდის. მეც ათი-თორმეტი წელიწადი მალეჭიეს სლავური ლოცვები, მიმოძლვრეს რაღაც აბდა-უბდა და სადიპლომოდ მამზადებდენ... აქ გამოჩნდა გავლენა ჩვენი ქვეყნის მშვენიერი ბუნების, აქ იჩინა თავი სურვილმა თავისიანებისადმი სამსახურისამ, აქ დავინახე მთელი შავ-ბნელი პოლიტიკა და განზრახვანი ჩინოვნიკ-აღმზრდელებისა და...

გავიბრძოლეთ უკულმართობის წინააღმდეგ. ახებივით გამოგვდევნეს სკოლიდან, დაგვ[illegible]ეს, დაგვცხრილეს, უგზო უკვლოდ დაგტოვეს, შინაურებსაცა და გარეულებსაც [illegible]. მივაშურე ისევ სოფელს, ბუნებას, გლეხობას. მალე იქიდანაც გამომდევნეს: — ქვეყ[illegible]. დავბრუნდი კვლავ ქალაქად. ერთი წლის შემდეგ დამიჭირეს და ცნხეში ჩმასვეს; — ღარიბ-ღატაკებს გვიგულიანებო...

სად წავსულიყავ, რა მექნა, როგორ მოვქცეულიყავ? — აღარ ვიცოდი...

ამასობაში გადიოდი თვეები და წლები. ცხოვრება რთულდებოდა, სიდუხჭირე ორკეცდებოდა. ჯურღმულებიდან მოისმოდა ყრუ გუგუნი უკმაყოფილებისა, ხოლო ვინც ალღო აუღო ცხოვრების ქართა ქროლვას, იგი პირველ ადგილს წამოსკუპდა.

ერთი მათგანი იყო ვექილი ჩანჩალაძე. უამისოდ არც ერთი საქმე არა კეთდებოდა.

„**ბატონო**, სარდიონ ივანიჩ! (ასე ერქვა ჩანჩალაძეს) მოწიწებით მიმართავდენ ხოლმე მას ცარიზმის დროს და ისიც იჭიმებოდა, მედიდურობდა, როგორც შეეფერებოდა ნამდვილ ბატონს, ამაყს, თავ-ქეიფას, ყმისა და მამულის პატრონს, — თუმცა მამა მისი ერთი რაღაც გადამღვძალი დაიკვანი იყო.

„**მამულიშვილო!** დასძახოდენ მას მისი ტოლნი და სწორნი, როცა პირველად შეირყა ტახტი თვითმპყრობლობისა და დემოკრატობა მოეფინა ქვეყანას და ისიც ისე გამოიყურებოდა ხოლმე, როგორც ეკადრებოდა ქვეყნისათვის თავდადებულ მამულიშვილს.

— **ამხანაგო!** — ეხვეოდენ მას მაშვრანლი და ტვირთ მძიმენი, როცა დაიმსხვრა ბორკილი მონობისა, როცა ძმობა-ერთობა შეიქმნა პირველ თქმად, პირველ ლოზუნგად დიდისა თუ პატარისათვის და... ჩანჩალაძესაც ისე ეჭირა თავი, როგორც პირველ სოციალისტს, პირველ მებრძოლს, პირველ კაცს...

ასეთი იყო გარეგნული, საჯარო ყოფნა ჩანჩალაძისა. არც ერთ ხანას, არც ერთ ქროლვას ქარისას და არც ერთ ტალღას ხალხთა ღელვისას იგი არ დაუჩრდილავს, არ დაუფარავს, არ დაურჩვია. პირიქით, მუდამ უვნებლად ტივტივებდა ცხოვრების ზედა-პირზე და მუდამ სჩანდა იგი, როგორც საზოგადოებრივი მოღვაწე. მეფის დროს ეტლით დაიარებოდა, ძმობა-ერთობისას კი — ავტომობილებით დაჰქროდა, მორთულ-მოკაზმული, კრიალა, ადგილ მოღიმარი, ვით ანგელოზი და ადგილ წარბშეკრული, დაფიქრებული, ვით ბრძენი დიპლომატი.

ჭეშმარიტად უცნაურია ხალხი, მასსა, ბრბო! თუ ენდო-ვისმე, — გაალმერთებს და თუ შეიძულა ვინმე, — ფეხით გაჰქელავს.

ჩანჩალაძემ კარგად იცოდა ხალხის ეს თვისება და ისე ათამაშებდა მას, როგორც ხელოვანი დამკვრელი ათამაშებს ხოლმე ვიოლონის სიმებს...

თითქმის არავინ იცოდა, რომ, არსებითად, ვექილი ჩანჩალაძე დიდი ქვენაგრძნობის კაცი იყო, დიდი ქამელეონი, დიდი თვალთ-მაქცი და თავისხვეჭია. იგი დასცინოდა ბრბოს, დასცინოდა გულუბრყვილო ხალხს, სპეკულიანტობდა მისის ნდობითა და ხმით. ფრთხილი იყო, ვით კურდღელი და შემპარავი, ვით მელა. რაც ზევით სჩანდა, ხუთი იმოდენა მიწაში დაძვრებოდა და ისე აკვარიხჭინებდა თავის პირად საქმეებს, რომ ეჭვსაც ვერ აიღებდით მის გაიძვერობაში... ადგილ რიხიანი და მჭერმეტყველი, ადგილ მდუმარე, ვით სამარე შორიდან ზვერავდა ხოლმე თავის პოზიციებს და სკუპ-სკუპით იჭერდა მათ...

ათი-თორმეტი წელიწადი იყო გასული, რომ ჩანჩალაძე აღარ მენახა. ამ დროის განმავლობაში ბევრი რამ გადამხდა, ბევრი რამ განვიცადე. დიდი ხნის დაცოლშვილიანებული ვიყავ, ღარიბი, ღატაკი, იდეალისტი, კვლავ მეოცნებე, ყოველ გვარ ბოროტებისა და თვალთმაქცობის დაუძინებელი მტერი, პირაღია, ფიცხი, მოურიდებელი. ჩემისთანა კაცს თავის მტერს, თავიჭამიას ეძახიან და მართლადაც გათიშული დავრჩი ყველასაგან და ყველაფერში. გაბატონებულ მოძღვრებას ვერ შევეთვისე, არსებულ პარტიებს ვერ მოვურიგდი. სიცრუე და სიყალბე მარჯვნიდან, თუ მარცხნიდან მაბრაზებდა, მლიქვნელობა ძლიერთა წინაშე, თუ ბრბოის ფეხის ლოკვა ერთნაირად მეზიზღებოდა და...

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავეხეტებოდი უადგილოდ, უბინაოდ, შეუსაფარი. ნახევარზე მშიერი, ნახევარზე მწყურვალი. ცხოვრება მე დამცინოდა და მე—ცხოვრებას...

ერთ დღეს ბინას დავეძებდი ქალაქში. ბინა აღმომიჩნდა იმ სახლის ქვედა სართულში, სადაც სცხოვრობდა თურმე ვექილი ჩანჩალაძე, იმ დროს დიდი ამხანაგი, გამგე რაღაც დიდი საზოგადოებრივ დაწესებულებისა. შევხვდით. სალამი—ქალამი. მოგონებანი. კამათი. ყრუ უკმაყოფილება ერთმანეთისადმი და განშორება უფრო ღრმა და შეურიგებელი, ვიდრე სტუდენტობის დროს გვქონდა. ის უზრუნველყოფილი, სახელოვანი, ცნობილი კაცი, ქურქიანი, ხელთათმანიანი, ნდობით აღჭურვილი, ავტომობილიანი სოციალისტი,—მე კი... ჩამოფლეთილი, დევნილი, გაუსწორებელი იდიალისტ-ევოლუციონისტი, არასოციალისტი--დღევანდელის აზრით—,,შოვინისტი—ნაციონალისტი'' და სხვა ამისთანა მკვრეხველობის მატარებელი!

გახურებული რევოლუციის ხანა იყო. ქალაქი, ქვეყანა სიმშილითა და სიტიტვლით იყო მოცული და მე ხომ სულ ნატისუსალი ამდიოდა. ამავე დროს ოჯახიც არეული მქონდა. ჩემი სამი ვაჟი—ერთი ბალშევიკი, მეორე მენშევიკი, მესამე სინდიკალისტი, თუ ანარქისტი—წინათვე დაერივნენ ერთმანეთს, მიმატოვეს და სადღაც გადაიღუპნენ. ორი ქალიშვილი ვიღაც ვიღაცებს გაჰყვნენ—ერთი რუსს, მეორე გერმანელს. (დღესაც არ ვიცი, სად არიან). დავრჩით მე და ჩემი უდროოდ დაბერებული ცოლი. სამ დღეში ერთხელ თუ გავდექდით ხოლმე ხმელა ჰადს. მშივრები ვიღრძობოდით და გაბუტებულებივით ვისხედით ხოლმე ნესტიან, ჯურღმულის მსგავს, გამოფხეკილ ოთახის ცალ-ცალკე კუთხეში. მე არ ვიცი, რასა ჰფიქრობდა იგი დაუსრულებელ სიჩუმის დროს, მე კი მაგონდებოდა ხოლმე ჩემი სიყმაწვილე, სამშობლოს ბუნება, მისი თავგადასავალი, დღევანდელი ყოფნა... პირველი სიყვარული, ჩვენი კორდი, მოწაფეობა, სტუდენტობა, ოცნებანი... დამსხვრეული იმედები, დაკარგული დრო და ჟამი, მოახლოებული სიბერე და სიკვდილი,—არარაობად ქცევა, იმ ზმანების შემდეგ, რომლისაც სიცოცხლე ჰქვიან და რომლის ასავალ-დასავალიც ვერავის დაულაგებია ისე, რომ ყველა ბედნიერი იყოს ამ უკმეხ წუთისოფელში! თუ დამიჯერებთ, სიკვდილისა არასოდეს არ მშინებია, მაგრამ ვიდრე სიკვდილი მეწვეოდა, მე მინდოდა მომეგონებინა ისეთი რამ მანქანა, ჯადოსნობა, გრძნეულობა, სასწაული, რომლის საშუალებითაც ერთბაშად მოსპობილიყო ბოროტება და თვალთ-მაქცობა მსოფლიოს მასშტაბით! ვეგდე ხოლმე გაშოტილი ტახტზე და ვფიქრობდი: იმ უცნაურ მანქანაზე... მთელი ქვეყნის გაძღომაზე, გათბობაზე, **გაადამიანებაზე**... სისხლზე მოვყავდი, ვინც კი ამ ოცნებიდან გამომარკვევდა და დღის სიცხადეს, ფლიდსა და ორპირ დღის სიცხადეს, დამიბრუნებდა ხოლმე...

„გიჟი ყოფილა, საცოდავი!—წასჩურჩულა თავმჯდომარემ ხანში შესულ თანამსაჯულს და მოთმინება დაკარგულივით შეიშმუშნა.

„ჰა? ჰო! დიახ! წაილუღლუღა მოხუცმა მსაჯულმა და თვალები კვლავ სასაცილოდ დააჭყიტა. ნაზღაიძე კი განაგრძობდა.

,,სისხლზე მოვყავდი ჩანჩალაძის გულცივობასა და მატყუვრობასაც. სიცივე-სიმშილის გამო ქალაქში დიდი მოარულები იყო. ხალხი ბუზივით იხოცებოდა. დილით საღამომდე მლოცველებივით მოდიოდენ ღარიბ ღატაკნი ჩანჩალაძის კარებთან. ჩანჩალაძე მოვალე იყო თავის თანამდებობისა გამო გზები ეჩვენებინა მათთვის, დაემშვიდებინა, დაეპურებინა საზოგადო ულუფისაგან, წინ გასძღოლოდა, ეპატრონნა, მაგრამ იგი ყურსაც არ იბერტყდა. ზიზღით ექცეოდა, უყვიროდა, უშტიალებდა, ხშირად ემალებოდა კიდეც, როცა სახლში იყო ხოლმე და აინუნშიაც არ იგდებდა მთხოვნელთა ვედრება—მუდარას. მთხოვნელნი კი მაინც არა შორდებოდენ ჩანჩალაძის კარ-ფანჯრებს, არახუნებდენ, აწკარუნებდენ, აჯაჯგურებდენ მათ და იდგა ხოლმე ერთი დაუსრულებელი ღრიანცელი და კბილთა ღრჭენა. ასე გადიოდა დღეები, კვირეები, თვეები. ზაფრამ ამიტანა. მთელი ქვეყნის თვალთმაქცობა, დამცირება და უსამართლობა იქვე, ჩემ თვალწინვე, იშლებოდა...

იმ დღეს, როცა ჩინჩალაძე მოკვდა, სამი დღის მშიერი ვიყავ. უკანასკნელი საცვლებიც და-

მეხა... მკბენარი დამეხვა... ცოლი გულსაკლავად ქვითინებდა: ერთ-ერთი შვილის ბალაც უბედურების ამბავი მოგვივიდა. გულზე ცეცხლი მეკიდა. აფთარივით დავრბოდი ჩემს ოთახში. მძულდა ჩემი თავი, მძულდა მთელი ქვეყანა, ბრმა და ყრუ კაცობრიობა... მაღლა სართულიდან მოისმოდა როიალის ჟღრიალი და კმაყოფილი, მაძღარი სიცილ-ხარხარი.

,,ბრახ! ბრახ! ბრახ! ასტყდა ამ დროს თავგანწირული ბრახუნი ვექილის კარებისა.

,,ვინ გინდათ? მედიდურად გამოეხმაურა ზევიდან ჩანჩალაძის მსახური.

,,ვექილი... გვშიან... ვკვდებით... გვიშველეთ.

„ვექილი შინ არა ბრძანდება!..

„ბრახ! ბრახ! ბრახ! არ ასვენებდენ კარებს. ეს ბრახუნი ლურსმებივით მესობოდა გულში ტვინში, მთელს არსებაში.

„ვექილი შინ არ არის-მეთქი! ჩამოჰყვირა მსახურმა მომსვლელს და ერთი ლაზათიანად შეუკურთხა.

„სტყუის! სტყუიან ყველანი, უბედურნო, უკეთურნო, დაბრმავებულნო!—დავიღრიალე სიბრაზისაგან გადარეულმა, დერეფანში გავვარდი, ჩანჩალაძის კიბესთან გავჩნდი და მოვმართე მისი გვარის ღრიალი.

„რა გაყვირებს, ოხერო!— მომესმა ზევიდან მრისხანე ხმა ვექილისა, რომელიც კიბეზე ჩამოდიოდა.

მისმა მაძღარმა სახემ, მისმა მედიდურებამ გონება უარესად დამიბნია და კიბეზე ავვარდი.

ალბად საზარელი სახე უნდა მქონოდა, რომ ვექილი უცბად გაფითრდა, კანკალმა აიტანა... მე .. მე... მე!.. წაილულღლუღა, შეტორტმანდა, კიბის საფეხურზე ფეხი დაუცდა და ქვევითკენ დაგორდა...

როცა ხმაურობაზე მისიანები გამოცვინდენ და ძირს ჩამოგორებული ვექილი წამოაყენეს იგი უკვე მკვდარი იყო... ალბად ან შიშისაგან გაუსქდა გული და ან დაგორების დროს რაიმე როკს დაჰკრა საფეთქელი...

მოწმე არავინა მყავს. ის კაცი, რომელიც ჩანჩალაძეს იხმობდა, სადღაც მიიმალა და არც ვიცნობ, ვინ არის...

მე გავათავე ჩემი სიტყვა. დააბოლოვა ნაზღაიძემ და თავი ჩაჰკიდა.

„უ! ამოიქშინა თავმჯდომარემ, დაავლო ქაღალდებს ხელი და სათათბირო ოთახისაკენ გასწია. მას უკან გაჰყვენ თანამსაჯულნიც.

სასამართლოს დარბაზში დარჩნენ განაჩენის მომლოდინე ტუსაღი და მოგუგუნე დამსწრენი. მოსამართლეთა მწვანე მაუდით დაფენილ გრძელ მაგიდას ამშვენებდა ახალგაზრდა მსაჯულის მიერ სიჩქარით დავიწყებულ ქაღალდზე დახატული ლამაზი ქალი...

ნახატი ქალი იგი უდარდელად იღიმებოდა.

3 იანვარი 1922 წ.

შალვა დადიანი

ვასო აბაშიძე

(სილუეტი)

ვოლტერის სახის— ცხვირ-წაწვეტილი ნიკაპ-გამახვილებული, ცოცხალის, მოძრავის და ცლანგი თვალების პატრონი. ტუჩები ვიწრო და დაუნდობელ არშია მოკუმული.

ხოლო, როდესაც გაიხსნება ეს ტუჩები—რამდენი სიცილია ამ ხახაში!

ამას თქვენ ველარ უძლებთ და ზოგჯერ იცინით მასთან ერთად თვით ისტერიამდე.

როდესაც განათდებით მისი სახის უცნაურ, კომიკურ შუქით, შემდეგ დაპყრობილი ხართ მუდმივათ და ავათ ხდებით უკურნებელი სენით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იმ სენით, რომელიც მედიცინამ არ იცის, მაგრამ აგერ ნახევარიდ საუკუნეა რაც, თითქმის მთელი საქართველო დაავადმყოფებულია.
ეს ავადმყოფობა თვით ვასო აბაშიძეა.
მაგრამ, აბა რაღა თქმა უნდა, რომ ამით დაავადება ყველასთვის სასიამოვნოა, ყველას უნდა ეს სენი შეეყაროს,
რადგან
ამით ცოცხლდება კაცი, კეთილშობილდება ამ მაღალი მხატვარის შემოქმედებასთან ზიარებით, ამაყობს ეროვნულათ და ისვენებს სულიერად.
და ამ უცნაურმა კაცმა მთელი თავისი ცხოვრება სიცილ-ხარხარით მოიტანა სამსხვერპლოდ მისთვის, რომ აეგო უზარმაზარი, ეროვნული ტაძარი ქართული თეატრისა.
ყველამ ვიცით, რომ ქართული თეატრი მეცხრამეტე საუკუნისა შთაისახა იანვრის 2-ს 1850 წლისა, მაგრამ ნამდვილი და მუდმივი დასი დაარსდა ვასო აბაშიძესთან და ვასო აბაშიძით.
ამ გვარათ, ვასო ამ ჟამად, ჩვენდა სასიხარულოდ, ცოცხალი ისტორია და ცოცხალი ტრადიციაა ქართული თეატრისა.
როგორი მსახიობიც არის ვასო ამაზე იმდენი დაწერილა და თქმულა, რომ თუ რამოდენიმე არა, ერთი დიდი და მოზრდილი ტომი მაინც გამოვა.
ეს ისეთი დიდი სახე და დიდი მოვლენაა ჩვენს მხატვრულ შემოქმედებაში, რომ ამ პატარა წერილით არ ამოიწურება.
ამიტომ ამ ჟამად მე ამას არ გამოუდგები.
მაგრამ ვასო, როგორც პიროვნებაა საინტერესო, როგორც ფენომენი.
დიდი შფოთი, დიდი დონ-ჟუანი, დაუდგრომელი და მაღალი, ნერვიული ტემპერამენტის მექონი ის პირველი ქართველი ბოჰემელია, სწორ-უპოვარი.
რა არ შეხვედრია, რა არ გადახედია, როგორ არ უცხოვრია.
იმიტომაც იფეთქა ლეგენდარულმა ეპიზოდებმა მისი სახელის გარშემო.
მეც მახსოვს ერთი მათგანი.
დიდი არაფერია, მაგრამ დიდი კაცის ლაპსუსიც კი შესამჩნევია და გული არ მითმენს, ამ საზეიმო დღეს საჯაროთ არ დავაბეზღო ერთს პატარა დონ ჟუანობაში ჩვენი საყვარელი ვასო.
ვასოსთანა ვარ ნომერში. უკვე შელამებულია. ორნი ვართ მხოლოდ. ჩაით გამიმასპინძლდა ვასო. უნდა გვახსოვდეს, რომ ვასო მშვენიერი მასპინძელია, იცის ეს ხელობა. საერთოთ დიდი კულინარია.
ჩაიც მშვენივრათ დადგა. კარგი იყო.
„როგორია?—მეკითხება ვასო.
„დიდებული.
„ჰო და ამ ჩაის სვამს ჩინეთის ბოგდიხანი, პოპოვი და მე.—წარმოსთქვა ვასომ თავისებური მიმიკით.
გავიდა ხანი, ჟამი. გარეთ კოკისპირულ წვიმს. ვსხედვართ კვლავ ორნი, ვმასლაათობთ.
ვასო აწრიალდა. ეტყობა სადღაც წასვლა უნდა, ან ვისმე მოელის.
წასვლა დავაპირე.
„არა, არა, ქაჯან, ჩემთან უნდა წამოხვიდე. ერთად გავიდეთ.
მივდივართ. ,,ულმერთოდ ასხამს''.
ვმდუმარებთ. გაუხვიეთ ერთი ქუჩიდან, გაუხვიეთ მეორიდან.
„რანდევუზე მივდივარ, ქაჯან. შენ ყმაწვილი ხარ და, როდესაც ჩემ ბიოგრაფიას დასწერ ეს ამბავიც არ დაგავიწყდეს.
ვიცინით.
აი მივაღწიეთ დანიშნულ ალაგას. ჩამობნელებულ სახლის წინ შევდექით.
„აქ უნდა დავიცადოთ, შალვაჯან. მალე ფანჯრის დარაბა გაიღება და ჩემი სატრფო სანთელს გააქანებს. ეს იმის ნიშანია, რომ შემიძლია სახლში თავისუფლად შევიდე...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დავიცადეთ. კარგა ხანმა განვლო. სანატრელი დარაბა არ იღება. არცა გვაქვს ქოლგა და
არც არის ისეთი რაიმე თავ-შესაფარი, რომ წვიმას ავერიდნეთ.
ძალზე გავიწუწეთ.
ვასოს მოუთმენლობა დაეტყო. უნდა გამოვტყდე ვერც მე ვარ გუნებაზე:
ეს ხანდაზმული რომეო კიდევ ჰო; გასაგებია ამ საშინელს თქეშში, მოვიდა მის ჯულიეტასთან. მის მოლოდინს დიდი საბაბი აქვს, მაგრამ მე ვილა ვარ. სირანო ბერჟერაკიც კი არა ვარ.
მხოლოდ მომავალ ბიოგრაფად მონათლული უბრალო შინაყმა.
ძლივს!
ეტყობა დარაბა გაიღო და სანთელი ნაზათ მიმოქანდა წყვდიადში.
არ ვიცი რომელს უფრო აუფანცქალდა გული სიხარულით.
ორმოცი წლის ვასო ოცი წლის ჭაბუკივით გამოშპა და დიდი სიმარდით გაქანებულმა მომაძახა:
„არ წახვიდე, ქაჯან, დამიცადე!
წარმოიდგენთ ჩემს მდგომარეობას.
ვასო იქ... მშვენივრადა გრძნობს თავს და მე კი ნიაღვარი კისერში მცემს.
ბედის მორჩილი დიდხანს ვიდექ ქუჩაში.
კიდევ კარგი ჭაჭანება არ არის, ისეთი ამინდია. სულ გავილუმპე.
ძლივს, ძლივს... ცისიერი გაიცრიცა.
გამოდის ვასო. კარებში კიდევ ნაზი ხმაურობა მოისმის.
ძლივს ვარჩევ სიტყვებს ალერსისას.
ვასო სრული კმაყოფილი მოემართება.
შემხედა:
„ოჰ, შალვაჯან აქა ხარ!..
დავავიწყდი ბედნიერს.
და აი ეხლა ვასრულებ მის მაშინდელ ბრძანებას — ჩავწერე ბიოგრაფიაში.
მეორეს მხრით სამაგიეროს ვუხდი ჩემი გაწუწვისათვის.

1922 წ. იანვარი.

ქ. აბაშიძე

ახალი საქართველო და ეროვნული შემოქმედება

I

ამ ორი წლის წინად ჩვენ შემთხვევა გვქონდა მოგვეთავსებინა ერთ-ერთ პერიოდიულ გამოცემაში რამოდენიმე ფელეტონი ეროვნულ შემოქმედების შესახებ ასეთივე სათაურით. მაშინ ჩვენ, ბრწყინვალე და დიადი იმედებით გამსჭვალულნი, იმ აზრს გამოვსთქვამდით, რომ ახალი საქართველო ასოცი წლის მონობისა და მძიმე ბორკილების დამსხვრევის შემდგომ ახალ სიტყვას, ძლიერ ეროვნულ შემოქმედებას წარმოშობს. ჩვენ გვრწამდა და დღესაც ამ რწმენით ვსულდგმულობთ, რომ თავისუფალი საქართველო, დამოუკიდებელი ერი თავისუფალსა და და დამოუკიდებელ შემოქმედების გზას დაადგება. მაშინ ჩვენ ვასაბუთებდით კიდევაც ამ დებულებას სხვა და სხვა ისტორიული მაგალითებით, თეორიულის მოსაზრებით და ვამტკიცებდით, რომ ეროვნული პესიმიზმი, რომლითაც გამსჭვალული იყო ჩვენში ხელოვნების ყველა დარგი, მწუხარება და სევდა, რომელიც წარმოშობილ იქმნა სოციალურ პესიმიზმის ზეგავლენით ძლეულ იქნება, რადგანაც მწუხარება, ეროვნულ ჩაგვრით გამოწვეული, ხანმოკლეა და ტანჯვა, სოციალურ უთანასწორობაზე აღმოცენებული, უდღეო, წარმავალი.
დღესაც შეურყევლად ვადგევართ ჩვენ მიერ გამოთქმულ აზრს და გვინდა გაუზიაროთ მკითხველ საზოგადოებას ის შთაბეჭდილებანი და განცდანი, რომელნიც ჩვენ მივიღეთ ამ ერთი

წლის განმავლობაში ეროვნულ შემოქმედების განვითარების პროცესის შესწავლის დროს მეტად დიდი ამბების მოწამენი შევიქენით ამ რამოდენიმე წლის განმავლობაში: შესამჩნევად შეიცვალა წესწყობილება ჩვენი ქვეყნისა. ქალაქებმა და დაბებმა სულ სხვა სახე, იერი მიიღეს. სხვანაირად გამოიყურებიან თვით ქუჩები ჩვენი რესპუბლიკის დედა ქალაქისა. ამგვარმა გადატეხამ, რასაკვირველია, თავისი კვალი დააამჩნია ერის სოციალ-პოლიტიკურ ვითარებას: შეიცვალა ნივთები და სოციალური მდგომარეობა. მაგრამ ჩვენ ამ შემთხვევაში მოქალაქის სულიერი განცდა, ერის დღევანდელი სულის კვეთება უფრო გვაინტერესებს ვიდრე წმინდა სოციალურ პოლიტიკური ხასიათის პერტრუბაციები.

რა შედეგი მოჰყვა შექმნილ მდგომარეობას? პასუხი ერთია: ეროვნული შეგნების გამტკიცება, ერის სასიცოცხლო ინტერესებისათვის თავდადება, თავისუფლების მტკიცედ შეგნება. აი, ის მთავარი, კარდინალური რეზულტატი, სავსებით რომ იბყრობს დღეს ყოველ ქართველს განურჩევლად მიმართულებისა და მდგომარეობისა.

ჩვენ ვიცით თუ რა ღირებულება აქვს, საზოგადოდ, ობიექტიურ პირობებს და რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს მის ცვალებადობას. ისიც საკმარისად გვაქვს გათვალისწინებული—თუ რა ბრძოლა სწარმოებს დღეს მსოფლიოში და რა ფარგლებში ვითარდება და მიმდინარეობს იგი გვახსოვს აგრეთვე ბრძნული სიტყვები დიდი გოეტესი: ,,აავსეთ თქვენი გული და გონება, რაც უნდა საგრძნობი იყოს მათი სიდიდე, თქვენი საუკუნის იდეებითა და გრძნობებით და მხატვრული ნაწარმოების წარმოშობა არ დაიგვიანებს.'' და ჩვენც სწორედ ამ იდეებისა და გრძნობათა სამყაროს გვინდა დავეწაფოთ, რომლითაც ხასიათდება ჩვენი ხანა და ქართველი მწერლის თვალსაზრისით, საქართველოს მასშტაბით განვიხილოთ, დავუახლოვდეთ ამ საკითხს. ,,ნაციონალურის გზით—ინტერნაციონალიზმისაკენ''! ეს იყო ჭეშმარიტი სიტყვა, გულიდან ამოდებული ზრახვა ჩვენი უკანასკნელი დროისა, და არა მარტო ეკონომიურსა და სოციალ-პოლიტიკურ საკითხებში, არამედ ხელოვნების საკითხშიაც.

მშობლიურ ნიადაგზე აღმოცენებულ წმინდა ხელოვნებით—მსოფლიო მოტივების მატარებელ ჭეშმარიტ ხელოვნებისაკენ! დიადი ეროვნულ შემოქმედების გზით—უნივერსალურ, სამარადისო ხასიათის მატარებელ შემოქმედებისაკენ.

და მართლაც ხელოვნება, დაშორებული ეროვნულ ნიადაგს, მოკლებული ნაციონალურ სულს, მაჯის ცემას—უნიათოა და ულაზათო.

ჭეშმარიტი ხელოვნება ერთსა და იმავე დროს ეროვნულიც არის და უნივერსალურიც და სწორედ ამაშია სიდიადე, ძლიერება ჭეშმარიტი ხელოვნებისა.

შექსპირის ,,ჰამლეტი'' დანიელთა ცხოვრებიდან არის აღებული, მაგრამ ამასთანავე საკაცობრიო, უნივერსალური მოტივებიც ახასიათებენ მას.

,,ფაუსტი'' გერმანელ ხალხთა ძლიერი სულის ნაჟურია, მაგრამ ამასთანავე მთელი კაცობრიბის საამაყო შემოქმედებაც.

შოთას ,,ვეფხის ტყაოსანი'' ქართველ ხალხის გენიის გამმჟღავნებელია, მასში არის ჩაქსოვილი ტემპერამენტი, ძლიერი სული და მტკიცე ნებისყოფა ქართველი ერისა, მაგრამ ამასთანავე საკაცობრიო, უნივერსალური ხასიათის მატარებელია იგი.

ასეთია ერთად-ერთი გზა თავისუფალ ხელოვნებისა, ასეთია მისი დამახასიათებელი თვისებები და ამგვარი გზა უნდა აირჩიოს ჩვენმა ხელოვნებამაც.

ხელოვნების მატიანე

საქართველო

დანტეს საზეიმო ხუთშაბათი. სდ. საქ. მწერალთა კავშირის საბჭომ ხუთშაბათს საღამოს, იანვრის 12-ს გამართა ალიგიერი დანტეს გარდაცვალებიდან ექვსასი წლის შესრულების გამო საზეიმო ხუთშაბათი (მერვე). მოწვეული სტუმრებით სავსეა დარბაზი. ყველას ყურადღება მიპყრობილია ალიგიერი დანტეს სურათზე, რომელიც ამ საღამოსთვის დახატა მხატვარმა შარლემანმა. საღამოს ხსნის პოეტი გრიშაშვილი. კ. აბაშიძე კითხულობს ა. დანტეს ბიოგრაფიას. ახასიათებს დანტეს ეპოქას. ლეო ქიაჩელი ეხება დანტეს წინა ეპოქის ტრუბადურების პოეზიას. ბოლო სიტყვა: კოწია გამსახურდია აღნიშნავს რომ ეს პირველი შემთხვევაა, როცა საქართველოში ევროპიელი პოეტის იუბილიარული საღამო იმართება. დანტე პირველი პოეტია ევროპული დასავლეთისა. იგი ეხება იტალიურ რენესანს და მის წინამორბედს დანტეს. მის Vita nuova-ს და Divina Comedia-ს აღნიშნავს წარმართულ ბერძნულ და ქრისტიანულ მისტიურ ელემენტს დანტეს პოეზიაში. შემდეგ ახასიათებს დანტეს როგორც მისტიკოსს. საღამო $^1/_2$10-ზე დასრულდა.

საქ. სსრ კ. მარქს

ეროვნული ბიბლიოთეკა

წიგნებისა და ჟურნალების გამოფენა. პოლიტეხნიკურ ინსტიტუტში ამჟამად გამართულია გამოფენა წიგნებისა და ჟურნალებისა, რომელიც კი ამ მოკლე ხანში გამოსულა საქართველოში.
ჰაზირა. გარდაიცვალა სახალხო მგოსანი ჰაზირა.
ვასო აბაშიძის ბიოგრაფია. გამოვიდა შალვა ამირეჯიბის მიერ შედგენილი ბიოგრაფია ვასო აბაშიძისა.
რუსთაველის თეატრში. ვ. აბაშიძის საუბილეო კომიტეტის უკანასკნელ სხდომაზე დადგენილ იქნა: საზეიმო სხდომა მოეწყოს დილით 12 საათიდან, ხოლო საღამოთი წარმოდგენილ იქნება გ. ერისთავის პიესა „გაყრა“ თვით იუბილიარისა და განსაკუთრებით ჩვენი დამსახურებული მსახიობთა მონაწილეობით.
ბანკეტი. ვასო აბაშიძის იუბილეს დღეს, იანვრის 15-ს, საღამოს წარმოდგენის შემდეგ გაიმართება საზეიმო ბანკეტი იუბილიარის საპატივცემლოდ. მსურველთ წინასწარ უნდა ჩაეწერონ რუსთაველის თეატრში.

ვასო აბაშიძის იუბილე გრანდიოზულ ხასიათს იღებს. საიუბილეო კომიტეტს დღემდე მრავალი ცნობები მოსდიოდა, როგორც ადგილობრივ სხვა და სხვა ორგანიზაციებისა და დაწესებულებისაგან, ისე პროვინციის ქალაქებიდან, რათა საშუალება მისცემოდათ მხურვალე მონაწილეობა მიეღოთ მსახიობის დღესასწაულში.
მხატვარმა ჭიაურელმა დაასრულა ვასო აბაშიძის ქანდაკების ჩამოსხმა, რომელიც დღეს იანვრის 15-ს დადგმული იქნება რუსთაველის თეატრში თვალსაჩინო ადგილას.
მხატვარმა ვ. სადიმონ-ერისთავმა იუბილეს დღისათვის დაამზადა ვ. აბაშიძის სურათები როლებში.
სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირმა დაავალა საბჭოს წევრებს ია ეკალაძეს და კოწია გამსახურდიას მიულოცონ მწერალთა კავშირის სახელით ვასო აბაშიძეს 50 წლის სცენაზე მოღვაწეობა.
მეცხრე ხუთშაბათი. ი. გრიშაშვილი. ჰაზირა.

უცხოეთი

ფლობერის ძეგლი. დაბადებიდან (12/XII 1821 წ.) ასი წლის აღსანიშნავად 1921 წ. დეკემბრის 12-ს პარიზში დიდის ზეიმით აკურთხეს ფლობერის ძეგლი. სიტყვები წარმოსთქვეს სხვათა შორის მწერალთა საზოგადოების სახელით ედმონდ ჰაროკურმა, ხოლო ფრანგ რომანისტების სახელით პოლ ბურჟემ.
გერმანელ პოეტების პასუხი ვერსალს. ასეთი სათაურით გამოვიდა გერმანელ პოეტების წიგნი, რომელშიაც გამოცხადებულია პროტესტი ვერსალში მიღებულ სამშვიდობო პირობების წინააღმდეგ.
პიერ ლოტის ახალი რომანი. ცნობილმა ფრანგმა რომანისტმა ჰ. ლოტიმ კიდევ აღიმაღლა ხმა ოსმალებისა და ისლამის სასარგებლოდ. გამოიცა მისი უკანასკნელი წიგნი ამ საგანზე—„Suprémes vision d'Orient„.
ფრანგ პოეტების ანთოლოგია შვედურ ენაზე. გრაფ ეჰრენსვანდმა დაამთავრა საფრანგეთის პოეტების თარგმანი. მისი წიგნი შეიცავს საფრანგეთის პოეზიას ანდრე შენიედან ვერლენამდე.
მოლიერის 300 წლის იუბილე. საფრანგეთის სენატმა გახსნა 100.000 ფრან. კრედიტი მოლიერის დაბადებიდან (1622 წ.) 300 წლის აღსანიშნავად.
გაბრიელ დ'ანუნციოს წერილი ამერიკულ გაზეთებში. იტალიულ გაზეთების ცნობით გაბრიელ დ'ანუნციომ წერილი დაბეჭდა ამერიკულ გაზეთებში ვაშინგტონის კონფერენციის შესახებ. ამ წერილში იტალიელი მწერალი ჰკიცხავს დიდიბრიტანეთის პოლიტიკას და უარყოფს ვაშინგტონის კონფერენციის მნიშვნელობას მსოფლიო მშვიდობიანობის დამყარების საქმეში.
იყო თუ არა დანტე პარიზში. ფრანგი მწერალი გაბრიელ მოგენი „Revue de France“-ში ახალი საბუთებით ამტკიცებს, რომ ალიგიერი დანტე იყო პარიზში მისი ფლორენციიდან გაძევების ხანაში და ისმენდა თეოსოფიის და ფილოსოფიის ლექციებს.
პოლ ადანის ბჟოგრაფია და კრიტიკა. საფრანგეთში გამოიცა კამილ მოკლერის ახალი წიგნი: პოლ ადანის ბჟოგრაფია და კრიტიკა.
ნობელის პრემიის კანდიტატები. დოიცშე ალგემაინ ცაჟტუნგი სწერს: უახლესი ნობელის პრემიის კანდიტატებად წარდგენილ არიან: ინგლისელი რომანსიე თომას ჰარდი, ინგლ. დრამატურგი ჯონ გალს ვორზ, ბერნარდ შოუ, გერმანელი რომანსიე თომას მანი, დანიელი ლიტერატორი გეორგ ბრანდესი, ფრანგი ფილოსოფოსი ჰ. ბერგსონი, პაულ კლოდელ და რომანსიე მარსელ პრევო.
დანტეს საღამო ბერლინში. ოქტომბრის დამლევს ბერლინში დანტეს 600 წლის იუბილიერულ საღამოზე ღრმად ნაგრძნობი სიტყვა წარმოსთქვა დოქტ. ვ. ლაჟჰაუზენმა. მანვე წაიკითხა ადგილები ღვთაებრივი კომედიიდან. დ. ალგ. ცაჟტ. ცნობით საღამო უჩვეულო ენტუზიაზმით ჩატარდა.
გერჰარტ ჰაუპტმანს დაუწერია ახალი ტრაგიკომედია: პეტერ ბრაუერ.
ვილლა ფალკონიერი. ვილლა ფალკ-ნიერი უმშვენიერესი ხელოვნების სასახლეა რომის ახლოს. იგი გაშენებულია მე 16 საუკ. პაპა პავლე მე III კარდინალის ალესანდრო რუფფინის ხელმძღვანელობით. ამ ვილაში მოთავსებული იყო უძვირფასესი ხელოვნების საუნჯენი. უკანასკნელად აქ ცხოვრობდა გერმანელი პოეტი რიჰარდ ფოსი, რომლის რჩევითაც გერმანელმა ბანკიემ მანდელსონ ბარტოლდიმ შეიძინა იგი. ომის დროს იგი სექვესტრალური წესით მიითვისა იტალიამ. ირკვევა რომ ეს ძვირფასი სასახლე ამიერიდან იტალიის ხელში დარჩება. (დ. ა. ც.).

რ ე დ ა ქ ტ ო რ ი:
სარედაქციო კოლეგია

გ ა მ ო მ ც ე მ ე ლ ი:
სრულ. საქართ. მწერალთა კავშირი

ნ. დ. ს. ც. ტირაჟი 1000. სტამბა საქართველოს ცენტრალურ კოოპერატ. კავშირისა. პლეხანოვის პროსპ. № 50

У 17/9

[10-]

ეროვნული
ბიბლიოთეკა

30

32

15 ფთასი